



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №01/58-ო

ქ. თბილისი

18 დეკემბერი 2013 წელი

სს “სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

“დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33¹ მუხლის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „ზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1.სს “სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 18 იანვრის ჩათვლით.
- 2.საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
- 3.ინფორმაცია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ეცნობოს კომპანიის მარეგისტრირებელ ორგანოს და გამოქვეყნდეს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.
- 4.აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- 5.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლამაზ ნიკოლაძე



სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №01/58-ო

ქ. თბილისი

18 დეკემბერი 2013 წელი

სს “სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

“დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33¹ მუხლის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „ზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1.სს “სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 18 იანვრის ჩათვლით.
- 2.საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
- 3.ინფორმაცია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ეცნობოს კომპანიის მარეგისტრირებელ ორგანოს და გამოქვეყნდეს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.
- 4.აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- 5.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ლამა ნიკოლაძე

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი